ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №347290

ნომერი: AR178487

თარიღი : 11.09.2012

გაცემის თარიღი : 12.09.2012

გაცნობის თარიღი : 12.09.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , ხილბოსტნეულის ბაზის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/026) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაკა ღუღუნიშვილი პ/ნ 01026011783
- თბილისი აკურის ქ. N 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

2012 წლის 11 სექტემბერსქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR178487 ელექტრონულიგანცხადებით მომართა მოქალაქე მაკა ღუღუნიშვილმა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, ხილბოსტნეულის ბაზრის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.15.003.026 სავაჭრო-სასაწყობო ობიექტის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემისწესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ემუხლის პირველი პუნქტისთანახმად მშენებლობის ნებართვაგაიცემა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდწინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა დადადებითი ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლიანებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიისადმინისტრაციული წარმოების დაწყება. პირველისტადია არის ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენა(მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება), რომელზეცადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვრება 15 სამუშაოდღით. დადგენილი ქალაქმშენებლობითი პირობები უნდაშეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს კანონმდებლობა სივრცითიმოწყობისა და ქალაქმშენებლობით სფეროში შედგებასაქართველოს კონსტიტუციის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, სივრცითი მოწყობისშესახებ კანონის დასაქართველოში მოქმედისხვა კანონქვემდებარე ნორმატული აქტებისაგან.

,,სივრცითიმოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5 მუხლები განსაზღვრავს ამ კანონისძირითად მიზნებს დაასპექტებს, რომელთა შორისძირითად მიზნად მოიაზრება ტერიტორიებისა დადასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპებით, რომლებიც ეკონომიკური და სხვასაქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა დაბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი დამომავალი თაობებისათვის ჯანსაღისაცხოვრებელი გარემოსარსებობას, შეიქმნას დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების გაწონასწორებული სტრუქტურა, კერძოდ, ქვეყნის თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური დაკულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობები, ბუნებრივი რესურსებისა დაფასეულობების, მათშორის სარეკრეაციო რესურსების ეფექტიანი გამოყენება და დაცვა, შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელ ტერიტორიების სისტემა, უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისადა კლიმატის შენარჩუნება და დაცვადა ა.შ.

1994 წლის11 ნოემბრის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის22-ე მუხლიდან გამომდინარე მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა საავტომობილო გზების მფლობელსუნდა შეუთანხმოს გზისღერძიდან 100 მეტრისმოშორებით განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით.

,,საქართველოს საავტომობილო გზებისრიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთგასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით 2009-2011 წლიდანდაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათშორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზისგორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელიხიდის საავტომობილო გზისთბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა, ფონიჭალა-მარნეული-გოგუთისსაავტომობილო გზისფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნაგზის ღერძიდან 100 მეტრიანზოლში მიწების გასხვისება და გზისპირაინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ითხოვს ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენას, მდებარეობს თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, ღერძიდან 100 მეტრისრადიუსში. შესაბამისად მასზემშენებლობის ნებართვის გაცემაზემოაღნიშნული განკარგულებით დადეგენილი შეზღუდვის გაუქმებამდე შეჩერებულია.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსისმე-5 მუხლის პირველიპუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებაარა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმექმედება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდაშეესაბამებოდეს მოქმედიკანონმდებლობის ნორმებს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე მაკა ღუღუნიშვილს ქალაქ თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი, ხილბოსტნეულის ბაზრის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.15.003.026 სავაჭრო-სასაწყობო ობიექტის განთავსებისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების

პირობების დადგენაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.